

მეგობარი

ჟურნალი პატარებისთვის



მითხრობები



თამაშები



თავსატყეხები

გამოდის 3 თვეში ერთხელ



ფასი

3

ლარი





დედამიწის დღე

22 აპრილი

ყოველწლიურად მთელი კაცობრიობა დედამიწის დღეს აღნიშნავს. და ამას დიდი სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად აკეთებს, რადგან დედამიწა თითოეული ჩვენგანის სახლია, ადგილი, სადაც ვცხოვრობთ, ვსუნთქავთ, ვსწავლობთ, ვმოგზაურობთ...

რას არ დაინახავს ადამიანი ამ უზარმაზარ მიწაზე – ცამდე აწვდილი ულამაზესი ხეები, რომელთა მრავალფეროვნებას გაოცებაში მოჰყავს მნახველი; წყლისა თუ ხმელეთის ცხოველები, რომელთა სახეობების ჩამოთვლა მარტივად დაგაბნევს, თუ სპეციალურ კატალოგს არ ჩახედვ; ფერადი, სხვადასხვა ფორმადქცეული გასაოცარი ფლორა – მრავალფერადი და მრავალფორმა. გინდა, ერთი წუთით დახუჭე თვალები და შენს თვალწინ გაჩნდება მთელი ეს მშვენიერება, რომელსაც ჩვენი პლანეტა დედამიწა აერთიანებს.



მაგრამ რა ვიცით მის შესახებ? მოდი, ყველაზე მნიშვნელოვანით დავიწყოთ – აქვს თუ არა თავად დედამიწას სახლი?

ნახატზე მზის სისტემას ხედავ. დიახ, ეს ის მზეა, რომელიც ყოველ დიდლით ამოდის, გვანათებს და გვათბობს. იმას, რასაც ჩვენ, მზის სისტემას ვეძახით, პლანეტებისთვის ნამდვილი სახლია, დიდი ოჯახი, რომელშიც თითოეულს თავისი განკუთვნილი ადგილი უკავია.

გადათვალე მზიდან მესამე პლანეტა. ეს ჩვენი დედამიწაა. მართალია, სიდიდით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ სწორედ ამ ერთადერთ პლანეტაზეა სიცოცხლე.

მზის სხივი დედამიწამდე გასაოცარი სიჩქარით აღწევს – სულ რაღაც 8 წუთსა და 19 წამში.

დედამიწა ბრუნავს და შენ კარგად იცი, რომ ამას 24 საათში ახერხებს. საკუთარი ღერძის ირგვლივ ბრუნვა სულაც არ ყოფილა საკმარისი. მზესაც უვლის გარს, ამისთვის კი მთელი ერთი წელია საჭირო.

იცი, რატომ აქვს დედამიწას ცისფერი შეფერილობა? იმიტომ, რომ მისი ზედაპირის 70 პროცენტი წყლითაა დაფარული. აბა, დაატრიალე გლობუსი სწრაფად, ისე, რომ თვალი არ მოაშორო. ხედავ, ძირითადად ცისფერი ფერი მოგხვდა თვალში. ამდენი წყალი ოკეანეებად, ზღვებად, ტბებად, მდინარეებად, ჩანჩქერებად ნაწილდება. ყველაზე დიდი მათ შორის ოკეანეა. შეგიძლია უცბად მითხრა, რამდენი ოკეანეა დედამიწაზე? აბა, დათვალე – ატლანტის, წყნარი, ინდოეთის, ჩრდილოეთ-ყინულოვანი და სამხრეთის ოკეანეები.

წყნარი ოკეანე ყველაზე დიდია დედამიწაზე.



ახლა კონტინენტებზე გადავიდეთ? შეგიძლია ჩამოთვალო თითოეული? ევროპის, აზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის და ანტარქტიდის კონტინენტები.

ახლა კარგად შეხედე, რა ლამაზია ყველა და ყველაფერი, რაც დედამიწაზე ცოცხლობს.

ყველა ბედნიერად ცხოვრობს მისთვის განკუთვნილ ადგილას. თუმცა, ბოლო დროს ხშირად გვესმის ფრაზები: „ნუ დავაბინძურებთ გარემოს“, „გავუფრთხილდეთ ბუნებას“, „დაზოგეთ წყალი“, „დაიცავით ცხოველები და მცენარეები, რომლებიც გადაშენების პირას არიან“... თუ ასე არ მოვიქცევით, ჰაერი, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ, მოიწამლება, წყალი,





რომელსაც ვსვამთ, ჩვენი ორგანიზმისთვის დამაზიანებელი იქნება, არც ოკეანის და არც ხმელეთის ცხოველები იცოცხლებენ დიდხანს. გაჩეხილი ხეების გამო ჟანგბადი დაიკლებს. ამიტომ, თუ ისევ ისეთ ლამაზ და ჯანმრთელ დედამიწზე გვსურს ცხოვრება, თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ მისი გადარჩენისთვის.

ნახე, ამ ბავშვებს ხელში დიდი ფურცლები უჭირავთ. მათზე ის ფრაზები დაწერეს, რითიც სხვა ადამიანების გაფრთხილება სურთ. წაიკითხე ყურადღებით და იქნებ შენც მოგივიდეს რაიმე იდეა. ცარიელ ფურცლებზე შენი მოწოდებები ჩაწერე.

საშიშია
ნარჩენები,
ეს აბინძურებს
გარემოს!


ნუ დაყრი
ნაგავს ქუჩაში!
ის წამლავს
ჰაერს!

დარგე ხეები!
ბუნებაც გალამაზდება
და ჟანგბადიც მეტი
იქნება!



ნინო მუხელი

ლექსი



ერთ ხელზეა 5 თითი,
 ხომ მოავლე მხერა?
 მოწონების ნიშნად, რომ ვწევთ,
 ის თითია ... **რაცნი**

თითებმა თუ გაითვალეს,
 მეხუთეა ყველგან,
 სულ ყველაზე ნაბოლარა,
 თითი გახლავთ ... **რწმე**

ცერის შემდეგ თითს რომ ხედავ,
 ჰქვია ... **საწმენცნწყო**
 ჩვენთვის ძალზედ ბევრჯერ არის,
 რამის მაჩვენებელი.

ერთ ხელზეა 5 თითი,
 უკვე ვიცით, მაგრამ...
 ორზე, რამდენი იქნება
 გამოვთვალოთ, აბა?

აქეთ ორი, იქეთ ორი
 მეგობრად ჰყავს თითი,
 ყველასა სჯობს სიმაღლით,
 ჰქვია ... **სასადრე**

5-ს რომ 5 მივუმატოთ,
 რას მივიღებთ? – ...! **რდო**
 ახლა, ფეხებსაც დავხედოთ,
 თან ვაგრძელებთ თვლას.

მის შემდეგ, რომ თითია
 ზომით უფრო მომცრო,
 ... დაარქვეს,
 აბა, როგორ მოვწონს?
სასადრე

ათი თითი ორ ხელზე,
 ამდენივე ორ ფეხზე
 თვლაში, ხომარ მოცდი?
 გამოვიდა ... **სივა**



მარია ლუიზა ბანფი

კოკაბელა



ქათამი კოკაბელა კვერცხს ყოველ დილას დებდა. „კო, კო, კო!“, ის ყოველ დილას მღეროდა და გარეთ თავაწეული და წელგამართული გამოდიოდა. მისი კვერცხები სრულყოფილებითა და სილამაზით მთელ საქათმეში გამოირჩეოდა, სიყოჩაღეში ნამდვილად ვერავინ შეედრებოდა. მინდორში

ყოფნისას სხვა ქათმები ცნობისმოყვარეობითა და შურით უყურებდნენ.

– შეიძლება ის ყოჩაღიც არის და მარჯვეც, მაგრამ ნამეტანს კი იბღინძება!
– ამბობდნენ მოშურნეები.

მართლაც, კოკაბელა ძალიან ამაყი იყო და არც მალავდა.

ერთ დილას ის საქათმის ახლოს, მინდორში სასეირნოდ გავიდა. გაზაფხული იყო და ირგვლივ ყველაფერი მწვანედ ბიბინებდა.

– რა სასიამოვნოა ბალახში ქექვა! – თქვა თავისთვის, მაგრამ უცებ... – ეს რა არის? – ბუჩქებში რაღაც დაინახა და მისკენ გაემართა.

რომ მიუახლოვდა, აღტაცებისგან კინალამ შეწუხდა: ბუჩქებში თეთრი კურდღელი და სამი ფერადი კვერცხი იდო.

– არ ვიცოდი, თუ კურდღლები კვერცხებს დებდნენ! და თან რა კვერცხები, რა ლამაზები!

კოკაბელას ისინი ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა, კურდღლისთვის ეკითხა, თუ როგორ ახერხებდა ასეთი რამის შექმნას, თან საიდუმლოც გაემხილა, რომ თვითონაც დაედო მერე; მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან მალე ბავშვები მოვიდნენ და მინდორში ჟრიამული ატეხეს. კოკაბელა საქათმისკენ გაიქცა.

ის ღამე მისთვის გამორჩეულად ამაღელვებელი და დაუსრულებელი გამოდგა, დაძინებაც ვერ მოახერხა, ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა. ძალიან უნდოდა ისეთი კვერცხები დაედო, როგორიც თეთრ კურდღელს ჰქონდა, ფერადები და თვალისმომჭრელები!

დილით, გაიღვიძა თუ არა კოკაბელამ, ჩვეულებრივ, ლამაზი კვერცხი დაედო, სრულყოფილი, მაგრამ კურდღლისას არ ჰგავდა, რის გამოც ძალიან მოიწყინა და საქათმიდან თავდახრილი გამოვიდა. სხვა ქათმებმა შეამჩნიეს

მისი ეს დაძაბულობა და რა თქმა უნდა, გამომხაურების გარეშე არ დატოვეს:



- ნახეთ? არც კი უმღერია!
- არადა, კვერცხი ლამაზი კი დადო!
- შეიძლება ავადაა!

კოკაბელა ყოველდღე დადიოდა კურდღლების სახლთან და ათვალიერებდა. აინტერესებდა, რას ჭამდნენ ისინი, როგორ ცხოვრობდნენ.

– ო, რა სულელი ვარ! – გაიფიქრა ერთ დღეს. – რატომ ვერ მივხვდი აქამდე, რომ

ყველაფერი კვებაზეა დამოკიდებული. დღეიდან მეც იმას შევჭამ, რასაც ეს კურდღლები ჭამენ!

და მართლაც ასე გააკეთა, სტაფილო და კომბოსტო მთავარ საკვებად განიხადა. ქათმებს გაუკვირდათ:

- რატომ ჭამს კურდღელივით?
- ავად არის, მგონი!

დილას, როგორც კი დადო კვერცხი, მაშინვე მობრუნდა და დახედა. ლამაზი და სრულყოფილი კი იყო, მაგრამ კურდღლის დადებულს მაინც არ ჰგავდა. ძალიან მოიწყინა კოკაბელამ, ძალიან.

– რაში შევცდი? – ჰკითხა თავის თავს. – რა დავაკელი?

– საცოდავი! – გადაუჩურჩულეს ერთმანეთს ქათმებმაც, ასეთ დღეში რომ შეხედეს.

ყოველდღე ათვალიერებდა კოკაბელა საკურდღლეს, ყოველდღე დგებოდა საათობით მის წინ და აკვირდებოდა. ყოველდღე ჭამდა ის კურდღლების საჭმელს, მაგრამ ამოდ, სასურველ შედეგს ვერ აღწევდა; თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, იმედს მაინც არ ჰკარგავდა.

ერთ დღესაც მან გამბედაობა მოიკრიბა და კურდღლებს პირდაპირ სთხოვა, მისთვის ფერადი კვერცხების დების საიდუმლო გაეხსნათ.

- მასწავლეთ რა, მეც ძალიან მინდა ასეთი ფერადები დავდო!
- ჩვენ კვერცხებს არ ვდებთ! – უპასუხა გაკვირვებულმა დედა კურდღელმა.
- აბა, ისინი ვისი იყო?
- არა, არა. თქვენ შეცდით, კვერცხების დება ჩვენთვის ბუნებას არ დაუწესებია!

დედალი საგონებელში ჩავარდა. გავიდა დრო... მის მოწყენილობა უსაზღვრო შეიქნა და ვინ იცის, კიდევ რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ყველაფერი, რომ ერთ დღეს:

– ნუ მოიწყენ, ძვირფასო კოკაბელა! – უთხრა გოგონამ, დიასახლისის შვილმა. – ის თეთრი კურდღელი ჩემი იყო, ჩემი სათამაშო, და ფერადი კვერცხები – შენი დადებულები, ლამაზები და შეუდარებლები. დედაჩემმა ისინი, როგორც წესია, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის შელება.

გაუხარდა კოკაბელას და როგორც იქნა, დამშვიდდა. ამის შემდეგ მან მშვენიერი კვერცხების დება ჩვეულ რიტმში განაგრძო.

იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ

რობერტო პიუმინი

გოგონა სახელის ბარეში

იყო ერთი გოგონა, რომელსაც, როგორც ყველა ბავშვს, ერქვა სახელი, იყო მხიარული და უყვარდა ბურთის თამაში.

ერთ დღეს, როცა თავის სახლთან ახლოს, პარკში ერთობოდა, ბურთი ბუჩქებს იქით გაუჩინარდა. ბევრი ეძებდა გოგონამ ის, აქეთ მიაწყდა, იქით მიაწყდა, მაგრამ ამაოდ – ვერ იპოვა.

„სად წავიდა ჩემი ბურთი? სად გაქრა? ასე როგორ შეიძლება? – გაიფიქრა დაღონებულმა. – ვინ წაიღო? ვინ დამიძალა? ბუჩქის უკან იქნებ ჯადოქარი ზის? ოჰ, როგორ მეშინია!“

ამ ფიქრებში იყო, რომ ზემოდან წვრილი ხმა გაისმა:

– ეს ბურთი შენია, პატარავ? – ხის ტოტზე ერთი ჩია კაცი იჯდა და ბურთს ხელებში ატრიალებდა.

– რა თქმა უნდა ჩემია! – უთხრა გოგონამ. – ახლავე მომეცი!

– და შენ რას მომცემ? – არ დაუთმო კაცმა.

– არაფერს. ჩემია ბურთი, მომეცი!

– მაგრამ ახლა მე მაქვს, ჩემია. მე ვიპოვე!

– არაფერი მაქვს, რა უნდა მოგცე?!

– როგორ არა გაქვს, კი გაქვს! სახელი გაქვს!

გოგონამ გაიფიქრა, კაცი ხუმრობსო და უპასუხა:

– კარგი, მოგცემ, წაიღე. სახელი მაინც, რაში მჭირდება! ოღონდაც, ბურთი დამიბრუნე!

კაცმა ბურთს ხელი უშვა და ძირს დააგდო. გოგონამ, კმაყოფილებით ავსებულმა, არ დააყოვნა, ბურთი გულში ჩაიკრა და სახლისკენ გაიქცა. გზაში, ცოტა არ იყოს, თავი უცნაურად იგრძნო, და ეს უცნაურობა კიდევ უფრო ემატა, როცა ხალხი მიესალმა. არავის მისთვის სახელი არ დაუძახებია, ყველამ შენობით მიმართა:

– ჰეი, შენ! ჰეი, შენ! ჰეი, შენ!

მისი უცნაურობა მთლად სასწაული შეიქნა, როცა თვითონაც ვერ გაიხსენა, რა ერქვა.

– დედა, რა მქვია მე? – ჰკითხა დედას, სახლში რომ შევიდა.

– შენ? შენ სახელი არა გაქვს! – უპასუხა დედამაც.

მაშინ გოგონამ თავის წიგნებსა და რვეულებს დაუწყო ფურცვლა, იქნებ, აქ მაინც ვიპოვო ჩემი სახელიო, მაგრამ ამაოდ – ვერ იპოვა.

– შენ, ჩამოდი, საუბრე მზადაა! – გაისმა დედის ხმა სამზარეულოდან.

„დედა სულ მეუბნებოდა, შენობით არავის მიმართოო, და ახლა ასე რატომ მეძახის? ალბათ, იმიტომ რომ სახელი აღარ მაქვს?“ – გაიფიქრა გოგონამ და თვალზე ცრემლი მოადგა.

საცოდავმა რამდენიმე დღე დაჰყო ასე, მოწყენილობა უფრო და უფრო ემატა. ერთ დღეს, ველარ გაუძლო, ბურთს ხელი დაავლო და პარკისკენ გასწია. იმავე ხეს მიუახლოვდა, რომლის ტოტბეც ჩია კაცი იჯდა, და სთხოვა:

– დამიბრუნე რა ჩემი სახელი, მე ბურთს მოგცემ. მეტი აღარ შემიძლია, ყველა „შენ“-ს მეძახის. სახელით აღარავინ მომმართავს!

– ჩია კაცს შეეცოდა პატარა გოგო და უთხრა:

– კარგი, დაგიბრუნებ, მაგრამ დაიმახსოვრე: შენი სახელი არავის არ უნდა მისცე, სახელს გაფრთხილება უნდა!

კაცმა ხელი გაშალა და სახელი გაუშვა.

– ანტონელა! – წამოიძახა გოგონამ, როცა სულში უცნაური რამ იგრძნო.

– მე ანტონელა მექვია! რა კარგია! რა ლამაზია! აჰა, ბურთი, აიღე, როგორც დაგპირდი!

– არა, არც ბურთი არ მინდა. წადი, გაერთე, ითამაშე და ჩემი რჩევა არ დაივიწყო! – უთხრა კაცმა.

გახარებულმა გოგონამ მას მადლობა გადაუხადა, სწრაფად შებრუნდა და სახლისკენ გაიქცა. სახელიცა და ბურთიც უკვე ჰქონდა, რა კარგი იყო!

– სად იყავი, ანტონელა? – ჰკითხა დედამ, როგორც კი დაინახა.

– მნიშვნელოვანი რამ მქონდა დაკარგული და ვიპოვე! – უპასუხა გოგონამ სიხარულით.

დედამ კი მას სიყვარულით შუბლზე აკოცა.

იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ



პროსპორდი

გაზაფხულის ყვავილები

1

2

3

4

5

6

7

8

9

10


11

12

13

14


☺






როგორია ზედმეტი?



ბებუნირბუნი



ბედიანი ცხოველები



მათემატიკური თამაში



სტარტი

$17 - 9$

$7 + 8$

$22 - 10$

$7 + 6$

$16 - 1$

$7 + 9$

$21 - 1$

$1 + 11$

$8 + 8$

$3 + 17$

$11 + 9$



$4 + 14$

ფინიში

$1 + 13$

$9 + 8$

$6 + 8$

$9 + 5$

$10 + 10$

$3 + 9$

$5 + 11$

$20 - 3$

$14 + 6$





დაგჭირდება ბარათები, რომელსაც კამათლის გაგორების შემდეგ განკუთვნილ ადგილას დადებ. თამაშში მონაწილეობა შეუძლია რამოდენიმე მოთამაშეს. კენჭისყრით დაინაწილეთ მოთამაშეთა თანმიმდევრობა. გააგორეთ კამათელი. იმდენი ნაბიჯი გადადგიოთ, რამდენიც კამათელზე აისახება. ყოველთვის, როცა მოგიწევთ გაჩერება რიცხვ 12-ზე, 2 დამატებითი სვლა გააკეთეთ წინ, რიცხვ 15-ზე – 2 სვლა უკან, რიცხვ 20-ზე – მეორედ გაგორების უფლებას მოიპოვებთ.

$11 + 9$	$7 + 7$	$23 - 8$	$23 - 11$	$5 + 11$	$2 + 12$
$19 - 5$	$11 + 6$	$7 - 4$	$8 + 12$	$9 + 10$	$20 - 5$
$12 - 3$	$17 - 5$	$5 + 13$	$19 - 10$	$4 + 9$	$19 - 6$
$6 + 6$	$2 + 12$	$18 - 5$	$19 - 4$	$5 + 7$	$11 + 2$
					$6 + 8$







სიტყვის საფეხური

როდესაც სიტყვებს ჩაწერ, დააკვირდი პირველ ასოებს, მერე კი დათვალე სიტყვებში ასოების რაოდენობა. რა აღმოაჩინე?



କ୍ଷମଭାବନି ଓ ନିଖୁଣକ୍ଷୟ?




გააგრძელე უჯრების გაფერადება.

blue	purple	green	yellow	red					
pink	red	dark blue	blue	red					
green	yellow	pink	yellow	red					
dark blue	light green	dark blue	blue	red					
green	yellow	pink	yellow	red					
pink	red	dark blue	blue	red					
blue	purple	green	yellow	red					

purple									
pink	purple								
light blue	pink	purple							
dark blue	light blue	pink	purple						
yellow	dark blue	light blue	pink	purple					
green	yellow	dark blue	light blue	pink	purple				
orange	green	yellow	dark blue	light blue	pink	purple			

შენ თავადაც შეგიძლია მოიფიქრო ნახატი.

ლაბირინთი



ზაქარია თამარი

მღლაქლაქე ციყვი



მინდორში სირბილით და ფუსფუსით დაღლილი ციყვი იქვე მდგარი ლამაზი ალუბლის ხეზე აცოცდა, მოძებნა მსხვილი ტოტი, კარგად მოკალათდა და ხეს მიუბრუნდა:

– მიყვარს, როცა სათქმელს მოკლედ ამბობენ. გრძელი საუბარი მოსაწყენი და უშინაარსოა. ვინც ბევრს ლაპარაკობს, ცარიელი აქვს თავი.

დაახლოებით ერთი საათის მანძილზე უმტკიცებდა, რამდენად მნიშვნელოვანია, მოკლედ გადმოსცე სათქმელი.

– ახლავე შეწყვიტე ლაქლაქი! ვგრძნობ, როგორ ამტკივდა თავი შენი დაუსრულებელი მტკიცებით. ძალა გამომეცალა. ასე ხომ ნელ-ნელა ყველა ალუბალს დაუმწიფებლად დავკარგავ.

ციყვი დაიბნა.

– შეეცადე, მართლაც მოკლედ ამიხსნა, რა გინდა სინამდვილეში.

– მოკლედ? შეუფუთავად? ბედმეტი ლაპარაკის გარეშე? კარგი! რომ იცოდე, როგორ მინდა შენი არომატული, გემრიელი, მწიფე ნაყოფის დაგემოვნება!

– მიხარია, რომ ჩემს ნაყოფს კიდევ ერთი თავაზიანი მოყვარული შეემატა. დაუკითხავად წყვეტენ ხოლმე ალუბლებს, შეჭამენ და ერთხელაც არ გადამიხდიან მადლობას მე, ხეს, რომელმაც მთელი წელი საკუთარი სხეულით ვკვებე თითოეული. ვუვლიდი, ვეფერებოდი, რომ არც ზაფხულის გვალვას გაეხმო და გამოეფიტა მწვანე ფოთლები, არც შემოდგომის ძლიერ ქარებს გადაეტეხა სუსტი ტოტები, არც ზამთრის დაუნდობელ სუსხს მოეყინა ჩვენი ფესვები, ან გაზაფხულის ცელქ ამინდებს დაეკლო რამე ჩვენი არსებობისთვის. დღეიდან სიამაყით ვიტყვი, რომ ჩემი ნაყოფი თავაზიანმა ციყვმა გასინჯა, კეთილმა, მშრომელმა, რომელიც ბუსტად ერთი საათი მიმტკიცებდა, როგორ არ უყვარს მოლაქლაქე არსებები.

არაბულიდან თარგმნა თინათინ დვალმა

විද්‍යා ක්‍රීඩා



გივი ჩილვინაძე

გოჭები წიფლის ფულუროდან

შემოდგომით წიწიბოზე, წაბლსა და რკობე გაშვებული მაკე ღორი არ მოსვლია შინ გიორგის. ერთი კვირაა, რაც მოთოვა და ნელ-ნელა ამატებს ცოტა-ცოტას, ისე რომ ტყეში მუხლამდე თოვლია უკვე. ეძებენ, როგორც შეუძლიათ, უფროსებიც და ბავშვებიც, თოვლის დადებამდეც ეძებდნენ, თუმცა უშედეგოდ. მეზობლებიც გამეცადინებულები არიან, თუ ვინმე მოხვდება ტყეში, ყურადღებითაა, იქნებ სადმე ვნახოთ და პატრონს მივუყვანოთ.

ერთ დღეს სკოლიდან მოსული, ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი, თოთხმეთოდე წლის ბიჩინა შეუყვა ტყიან ფერდობს, მუხნარ-რცხილნარი აიარა, აივაკა და წიფლის ტყეში შევიდა. ხვავრიელად თოვდა, უღრანში ნისლი იყო ჩაწოლილი, თოვლის სიმაღლე იქ მეტი ჩანდა სოფელთან შედარებით. ერთხანს შორიდან თითქოს ღორის ქოთქოთი და გოჭის ჭყვილი მოესმა და იქით გაეჩქარა სმენაგაფაცვიცებული. კარგა ხნის სირბილის მერე გადატეხილ წიფელთან ნისლში კაცი გაარჩია, რომელსაც ხელში გოჭი ეჭირა, ხოლო მის ჭყვილზე დედა ღორი ქოთქოთებდა. კაცი ცდილობდა, გოჭიანად წამოსულიყო და დედა ღორი დანარჩენი გოჭებით გამოეყოლებინა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, გოჭები წიფლის ფართო ფულუროში მრავლად დაგებულ ფოთოლში გახვეულიყვნენ და იქიდან თოვლში გამოსვლას ერიდებოდნენ. ამ დროს მივიდა ბიჩინა და ახლო მეზობელი – ლეონტი შერჩა ხელში.

– ოჰ, ყოჩაღ, შენ, კაი დროს მომეშველეო, – შესძახა მის დანახვაზე ლეონტიმ, არიქა, იქნებ გამოვიყვანოთ ეგ გოჭები ფულუროდან, ღორი წინ გვიგდოთ და წავიყვანოთო...

დააკვირდა ბიჩინა იქაურობას, რვა გოჭი გაეჩინა ტყეში გასუქებულ ღორს, ათიოდე დღის იქნებოდნენ. უმეტესობა ჭრელი იყო, მოშავო ხაზები დასდევდათ თავზე, წელსა და ფერდებზე. სიხარული გამოეხატა სახეზე ბავშვს და დაფიქრებით უთხრა მეზობელს:

– ტომარა მაქვს წამოღებული, იქნებ ჩავსვათ შიგ გოჭები და ღორი თავად გამოგვყვებაო...

– კარგი აზრია, მოდი მაშინ მე ღორს მოგაცილებ, შეძვერი ფულუროში და იქნებ ჩაყარო ტომარაში გოჭებიო.

ასეც მოიქცნენ – ლეონტიმ ჯოხი მოიმარჯვა და ფულუროს მოაცილა

ღორი, თან ხელში დაჭერილ ერთ გოჭს აჭყვივლებდა და აჩვენებდა დედას წამომყევით.

ბიჩინამ უბიდან ამოღებულ ტომარაში ჯერ ხმელი ფოთლები ჩააფინა ბლომად, მერე უცებ შეყო ფულუროში თავი და დაუწყო პუტკუნა გოჭეს შიგ ჩაყრა. როცა შვიდივე შიგ მოათავსა, კიდევ დააყარა ზემოდან იმათივე ნაწოლი თბილი ნეშო. ამის დამნახავი ლეონტი მისკენ გაიქცა, ხელში რომ ეჭირა, ის, მერვე, გოჭიც მის ტომარაში ჩაუძახა და თვითონაც მოუკიდა ხელი.

– ახლა თავი მოვუკრათ და წავიდეთო.

უცებ მოუკრეს თავი ტომარას, საკმაოდ მძიმე ჩანდა, მაგრამ მარჯვედ წამოიკიდა ზურზე ბიჩინამ.

– გასწი, მეც მოგეხმარები ტარებაში, ჯერ კი ღორს მოვყვებით, – უთხრა ლეონტიმ.

თუმცა ღორს მოყოლა არ უნდოდა, ჯერ დარბოდა და ქოთქოთობდა მათ ირგვლივ, მერე ბიჩინა რომ წამოვიდა გოჭებიანი ტომრით, ძალღვივით აედევნა უკან ჭყვიტინ-ჭყვიტინით. ტომრიდან შვილები უხმობდნენ და მოდოდნენ დათოვილი ტყით ფიფქებში გახვეული ბიჭი, კაცი და გარეულობისკენ მიდრეკილი შინაური ცხოველი.


ბინდდებოდა, სოფელს რომ მოაღწიეს. გაეხარდა ოჯახს, მიხვდნენ, ლეონტის ნაპოვნი იყო მათი გოჭებიანი ღორი და ქებითა და მადლიერებით შეხვდნენ.

– მე მართო რას ვიზამდი, ეს ბავშვი რომ არ მომშველებოდა, ამან მეტად იმარჯვა ჩემზეო, – იძახდა ქებით ნასიამოვნები ლეონტი.

ღორი და გოჭები მალე შეყარეს გამზადებულ საღორეში. ტყიდან წამოყოლილ წიფლის ფოთლებს იქ ბევრი მუხის და ცოტა რცხილის ხმელი ფოთლებიც დახვდათ.

– შენ აქ წამობრძანდი, ჩემო ლეონტი, სუფრა იშლება უკვე, ჯერ ასე გცემ პატივს და მერე ეს გოჭები რომ გაიბრდებიან, რომელიც გინდა, ამოირჩიე და წაიყვანეო, – უთხრა გიორგიმ მეზობელს, მზრუნველად მოჰკიდა ხელი და კმაყოფილმა წაიყვანა სახლისაკენ.

ბიჩინა დიდხანს უყურებდა გოჭებს, მერე ისიც შინ შევიდა, მეზობელს მიუჯდა გვერდით და ზამთრის თოვლიან ღამეს მათი სახლიდან მხიარული სიმღერები უერთდებოდა.



მშობლის გვერდი

აღზრდის ტიპები და მათი გავლენა ბავშვებზე

ფსიქოლოგი მარია მებრეველი

„აღზრდის როგორ მეთოდს იყენებ?“, „მკაცრი უნდა ვიყო თუ მეტად ლმობიერი?“... ეს და მსგავსი საუბარი ხშირად იმართება მშობლებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოცდილების გაზიარება ან რჩევის მიღება სურთ ერთმანეთისთვის. მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანი ან, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ აღზარდოთ ბავშვი, ანუ აღზრდის რომელი სტილი გამოვიყენოთ და როდის?

აღზრდის სტილმა შესაძლოა ყველაფერზე მოახდინოს გავლენა.

დავიწყოთ იმით, რაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ: არსებობს 5 ძირითადი მიმართულება – ავტორიტეტული, ავტორიტარული, ინდიფერენტული, ლიბერალური და ჰიპერმზრუნველი. რა თქმა უნდა, ხვდებით, რომ თითოეულ მათგანს განსხვავებული გავლენის მოხდენა შეუძლია ბავშვის ცხოვრებაზე.

განვიხილოთ აღზრდის ხუთივე ტიპი

ლიბერალური აღზრდის მომხრენი უფრო მეგობრის როლს ირგებენ, ვიდრე მშობლისას. ასეთი მშობლები ძირითადად ყველაფრის გაკეთების უფლებას აძლევენ შვილებს.

მათ კომუნიკაციას ბავშვებთან მიმართებაში ღია კომუნიკაცია შეიძლება დავარქვათ, რადგან მშობლები არ მიმართავენ ბრძანებების ან მითითებების ფორმას, ბავშვებს თავისუფლებას ანიჭებენ, რაც გულისხმობს ბავშვის თავისუფალ არჩევანს, მიჰყვანს საკუთარ სურვილებს, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები და ისე მოიქცნენ, როგორც ჩათვლიან საჭიროდ. შესაბამისად, ბავშვები იზრდებიან საზღვრების, წესებისა და შეზღუდვის გარეშე და იღებენ ყველაფერს. თუმცა, რა არის გასათვალისწინებელი: დიდია ალბათობა იმისა, რომ ზრდასრულობის ასაკში თავის თანატოლებთან ურთიერთობისას პრობლემები გაჩნდეს. ისინი ხომ მუდმივად იმაზე იქნებიან ორიენტირებულები, რომ თავისი „გაიტანონ“, არ გაითვალისწინონ სხვათა სურვილები და მოტივები, და ვერ მიხვდებიან, როგორ მოიქცნენ სხვების სურვილებთან მიმართებაში.

ავტორიტეტული ტიპის მშობლები პატივს სცემენ ბავშვის საჭიროებებს, აზრებს, ემოციებს, მდგომარეობას, უსმენენ მათ და ხშირი და ღია კომუნიკაცია ახასიათებთ ბავშვებთან, ისინი ერთი მხრივ, მომთხოვნებიც არიან მათ მიმართ, თუმცა არ ენანებათ სიტბოს გამოხატვა. ასეთ მშობლებს სჯერათ, რომ შვი-

ლებს სჭირდებათ თავისუფლება, უწყობენ ხელს მათ დამოუკიდებლობას, ოღონდ მკაფიოდ დაწესებულ და ბავშვთან შეთანხმებულ საზღვრებში. მაგალითად, ბავშვმა იცის დღის განმავლობაში რამდენი ხნით შეუძლია უყუროს ეკრანს, ოჯახში შეთანხმებულ და დადგენილ რომელ წესებს მიყვება ისევე, როგორც ამას მისი ოჯახის დანარჩენი წევრები აკეთებენ; სწავლობენ საკუთარი სურვილების გამოხატვასა და სხვათა სურვილების დათმობა/გათვალისწინებას; აქვთ ჯანსაღი თვითშეფასება და პასუხისმგებლობის გრძნობა და ა.შ. ამასთან ერთად, ბავშვებმა იციან, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მშობლებისგან მხარდაჭერის მიღება.

ინდიფერენტული სტილისთვის, დამახასიათებელია ნაკლები მოთხოვნა ბავშვების მიმართ, არ არიან არც მკაცრები თუმცა არც სითბოს გამოხატავენ. ამ ტიპის მშობლები ინდიფერენტულები არიან მათი საჭიროებების მიმართ, სირთულეებს აწყდებიან ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში და აქვთ შეზღუდული და ლიმიტირებული ურთიერთობა ბავშვებთან. ხშირად ჩანან, როგორც ცივი და არამზრუნველი მშობლები, შესაბამისად იშვიათად/საერთოდ არ უწესებენ საზღვრებს. ასეთი მშობლების შვილებს საკუთარი თავისთვის ზრუნვა უწევთ, თავისი სურვილების მიხედვით მოქმედებენ. თუმცა არასდროს იღებენ ამის საპასუხოდ რაიმე უკუკავშირს ან ყურადღებას მშობლებისგან.... ეს ბავშვები ხვდებიან, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებენ, რადგან მაინც ვერაფერს შეამჩნევს. დავფიქრდეთ, სადამდე შეიძლება ბავშვი მიიყვანოს ამ სიტუაციამ? ასეთ ბავშვებს ხშირად არ აქვთ თვითრწმენა, უმეტესად იმპულსურები არიან და აწყდებიან პრობლემებს საკუთარი ემოციების რეგულაციასთან დაკავშირებით.

ავტორიტარული – დამახასიათებელია მკაცრი დისციპლინა, მაღალი მოთხოვნები, კონტროლი მშობლების მხრიდან. მშობლები ბავშვებს წესებს უწესებენ და ხშირად დასჯის ფორმებიც განსაზღვრული აქვთ იმ შემთხვევაში, თუ წესებს ბავშვი არ ემორჩილება. ასეთი ტიპის მშობლები მკაცრ საზღვრებს უწესებენ ბავშვებს, ნაკლებად ითვალისწინებენ მათ ემოციებს, გრძნობებს, სოციალურ-ემოციურ საჭიროებებს, რასაც თავისუფლად შეგვიძლია ცალმხრივი ურთიერთობა ვუწოდოთ, მხოლოდ მშობლისგან ბავშვზე. – ამ ტიპის მშობლები ხშირად იყენებენ ასეთ ფრაზებს: – „იმითომ, რომ მე ასე ვთქვი/ასე მინდა“, „ეს არ განიხილება!“, „ასეა საჭირო!“ რა პერსპექტივა აქვთ ასეთი აღზრდის ქვეშ მყოფ ბავშვებს? ისინი საკუთარი ემოციების, სურვილების ჩახშობას/დათრგუნვას სწავლობენ, მუდმივად ანგარიშს უწევენ მშობლებს, საკუთარ ოჯახს, საზოგადოებას და ხშირად არ იციან, თავად რა სურთ.

მეხუთე ტიპი – **ჰიპერმზრუნველი** მშობლების ტიპია, რომლებიც ხშირად არ აძლევენ საკუთარ შვილებს დამოუკიდებლობას და ყველაფერს მათ მაგივრად აკეთებენ, შვილების ცხოვრების თითოეულ ასპექტს მართავენ. შესაბამისად, ბავშვებს არ აქვთ გამოცდილება, რომ სხვისი დამხმარების გარეშე, მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობით გაუმკლავდნენ პრობლემებსა და ახალ გამოწვევებს თავიანთ ცხოვრებაში.

ფასდაკლების ვაუჩერი



Fisher Price
პეპელას ფორმის სორტერი

~~39.90 ₾~~ 23.95 ₾



Cubika
ხის ძაღლი თასში

~~34.95 ₾~~ 21.00 ₾



ასანყოფი ბლოკები
მასხარას თავით

~~52.90 ₾~~ 31.75 ₾



ფასდაკლების ვაუჩერი



ფაზლი 8 ერთში
"მხიარული დინოზავრები"

~~24.95 ₾~~ **15.00 ₾**



ინსტრუმენტების ნაკრები

~~46.90 ₾~~ **28.15 ₾**



მაკიაჟის დიდი ოჯალური ნაკრები
2 დონიანი

~~59.90 ₾~~ **35.95 ₾**



სალარო აპარატი
მუსიკალური და მანათობელი

~~82.90 ₾~~ **49.75 ₾**



სავაჭრო ურიკა ბარბის
ილუსტრაციით 25 აქსესუარით

~~64.90 ₾~~ **38.95 ₾**



საკვების
მოსამზადებელი ნაკრები

~~22.90 ₾~~ **13.75 ₾**



მარტორქა ფუმფულა ჩანთაში

~~59.90 ₾~~ **35.95 ₾**



სპილო "ელვისი" ნაცრისფერი

~~84.90 ₾~~ **50.95 ₾**



ქართული პოლიციის მანქანა

~~32.90 ₾~~ **19.75 ₾**



ამოჭარი ვაუჩერი, წარადგინე "კეკელას" ნებისმიერ ფილიალში და მიიღე სათამაშოები ფასდაკლებით

1 მარტიდან
31 მარტამდე



Fisher Price

პეპელას ფორმის სორტერი

~~39.90~~ 23.95 ₾



„პეპელა“-ში გაყიდული სათამაშოების 100% აკმაყოფილებს ევროპული ხარისხის სტანდარტებს. მათ შორის EN71-ს, რაც სათამაშოების ხარისხის უმკაცრეს შემოწმებას გულისხმობს.